№ 94 მაისი 5, პარასკევი — 1889 — მაისი 5, პარასკევი № 94

გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ამ ნომერში რვა გვერდია

კვირას, 7 მაისს

მუშტაიდის ბაღში დანიშნულია

სეირნობა

და

ლატარია-ალლეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზედ. ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ეღირება.

დაწვრილებით აფიშებში გამოცხადებული

## სასწავლებელი,

რომელიც მთავრობის ნება-დართვით გავმართე ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზე, მაჭავარიანის სახლში, ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და სხვა სასწავლებლებისათვის. თთვიური გარდასახადი არის ექვსი მანეთი. სასწავლებელი გაიმართა 15 მარტს. სწავლა იქნება ზაფხულშიაც.

სასწავლებელთან იქნება პანსიონი, სადაც შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება როგორც ამ სასწავლებლის მოსწავლეთ, აგრეთვე გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. წლიური გადასახადი თითოეულ პანსიონერზე იქნება 250 მან.

სასწავლებელთანვე იქნება სარეპეტიციო კლასები საღამოობით, როგორც პანსიონერებისათვის, აგრეთვე იმ უმაწვილებისათვის, რომლებიც გიმნაზიასა და პროგიმნაზიაში არიან, სუსტად სწავლობენ და დახმარება ეჭირებათ.

სასწავლებლის მმართველი

ს. ბ. ჯორჯიკია

(4—2)

## სპარსეთის შაჰი ნასრ-ედინი

ამ ჟამად ჩვენს ტფილისში სტუმრად იმყოფება დიდებული და ბედნიერი მბრძანებელი ირანისა, შაჰი სპარსეთისა ნასრ-ედინი. შაჰი ეს მესამედ არის ჩვენს ტფილისში და ასე გულგახსნით, ასე კარგად არასოდეს დახვედრია ჩვენი ტფილისი.

შაჰმა პირველად 1873 წლის აპრილის თთვეში იმოგზაურა. ამ მგზაურობამ მისის უდიდებულესობისამ აალაპარაკა თითქმის მთელი ქვეყანა. ამ ალაპარაკების მიზეზი ის იყო, რომ ნასრ-ედინის მამა პაპათაგანი არც ერთი არ გასცილებოდა თავისს საზღვრებს, არსად ყოფილიყო, არა ენახარა. ამ მხრით შვილს გზა გაუკვლია მამამ, მაჰამედ-შაჰმა, რომელიც თითქმის ევროპის ყველა დიდს სახელმწიფოს დაუმეგობრდა და ამ დამეგობრებით შვილი ევროპისაკენ გაახედა. ამ მაგალითით, როგორც მკითხველიც დაინახავს, აწინდელმა შაჰმა კარგად ისარგებლა და იგრძნო ტკივილი თავისის ქვეყნისა.

მამის სიკვდილს შემდეგ ნასრ-ედინ შაჰი დარჩა ოც-და ხუთის წლისა. შაჰი დაიბადა 1823 წელს. მემკვიდრეობის დროს იგი მმართველი იყო ადერბეიჯანისა და თავრიზში სცხოვრობდა. ამ დროს ახალგაზდა მემკვიდრეს ხელმძღვანელადა ჰყავდა მეტად ნიჭიერი და პატიოსანი კაცი სპარსეთისა, მირზა-ტაგი-ხანი, ნასრ-ედინის მეფობის პირველ ოთხს წელიწადს მთავარ-მინისტრად ნამყოფი. მიუვიდა თუ არა ოც-და-ხუთის წლის მემკვიდრეს მამის გარდაცვალების ამბავი, მაშინვე თორმეტ ათასის ჯარით გაეშურა თეირანისაკენ, სადაც დიდს მზადებაში იყვნენ ახალის შაჰის მისაგებებლად. მემკვიდრეს თავრიზში მიულოცა მკვიდრმა, სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა და ჯარმა, თეირანში ხომ დიდის ზარითა და ზეიმით დაუხვდნენ ჭაბუკ მბრძანებელს და ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ნასრ-ედინი 1848 წლის 13 ოქტომბერს ავიდა სამეფო ტახტზედ და ასვლისათანავე იმ აზრისა იყო, რომ ქვეყნის მმართვის წესი და რიგი უნდა შეიცვალოს და უფრო საუკეთესოდ მოეწყოს. ეს ცვლილებანი არად ეპაშნიკათ შაჰის იმ მახლობელთ, რომელნიც ამდენად განათლებულნი და განვითარებულნი არ იყვნენ, რომ საზოგადო კეთილდღეობა ემჯობინებინათ კერძო სარგებლობისთვის. ნასრ-ედინი იბრძოდა და ჰსურდა განეხორციელებინა როგორმე თავისი წადილი, თუმცა დიდად ეწინააღმდეგებოდნენ და ხშირად იმის სურვილს გზაზედ ეღობებოდნენ თვით წარჩინებულნი სახელმწიფო კაცნიცკი.

ამ გვარად, ერთხელ ახალგაზდა მეფე კინაღამ შეთქმულობის მსხვერპლი არ შეიქმნა. შემდეგ წინ აღუდგა შაჰს მამედ-ჰასან ხანი, რომელმაც თეირნის მკვიდრნი მიიმხრო და შთააგონა ერს, რომ ნუ დაემორჩილებით ახალს მეფესაო. ეს აშლილობაც დაამშვიდა შაჰმა და ახლა ყაზვინში მოხდა არეულობა, რომელსაც ჰმეთაურობდა სეიფ-ელ-მულკ-მირზა, შორეული ნათესავი ნასრ-ედინისა. სეიფ-მირზას უნდოდა ტახტიდგან ჩამოეგდო შაჰი და იმისი ადგილი თითონ დაეჭირა, მაგრამ ხერხმა და გამოცდილებამ უმტყუნა და ახალგაზდა მბრძანებელმა ირანისამ აქაც გაიმარჯვა. სწორედ ერთმა თთვემ განვლო შაჰის ტახტზედ ასვლიდგან, რომ დიდის ამბით მიაბარეს მიწას მაჰამედ-შაჰი, მამა აწინდელის მეფისა.

თავის მბრძანებლობის პირველსავე წელიწადს ნასრ-ედინი იძულებულ შეიქმნა ენერგიული ღონე ეხმარა ხორასანის წინააღმდეგ, სადაც დიდი ამბოხება მოხდა. შაჰმა ჯარი გაჰგზავნა და ჯარსა და მკვიდრთა შორის რამდენიმე ბრძოლა მოხდა. აიღეს ჯალათის ციხე და მეამბოხენი დაამშვიდეს. 1857 წელს, ახალგაზდა მეფის ხელმძღვანელობით, რუსეთისა, ინგლისისა და ოსმალეთის დელეგატებმა სპარსეთსა და ოსმალეთს შუა საზღვარი გაიტანეს ბაღდადთან. მეფობის მეორე წელიწადს უფრო წესიერება და მშვიდობიანობა ჰსუფევდა შაჰის სამფლობელოში და მეფეს აგრე რიგად ხელს აღარ უშლიდა-რა, რომ თავისის სამეფოს შინაური მდგომარეობა განეკარგებინა და სხვა-და-სხვა ღონე ეღონა ქვეშევრდომთა საკეთილდღეოდ.

ამ მხრით ნასრ-ედინ შაჰმა საოცარი ხასიათი გამოიჩინა და რაკი ჰხედავდა, ჩემ მიერ დაწყებული ცვლილება ქვეყნის მდგომარეობას ასე თუ ისე განაკარგებსო, არაფერს უხრიდა ქედს, არავითარს დაბრკოლებას არ ერიდებოდა. ამ გვარადვე დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა და თავისი აზრი პოლიტიკის შესახებ. 1854 წ., მიუხედავად ინგლისის ელჩის ხრიკებისა, შაჰმა სრული ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. შემდეგ, 1855 წლის 15 დეკემბერს, შაჰმა კავშირი შეჰკრა რუსეთთან, რასაც შეეძლო უფრო ადვილად გამოეწვია ბრძოლა ისეც ყალხზედ შემდგარ სახელმწიფოთა შორის ევროპაში, საზოგადო მშვიდობიანობას რომ არ გაემარჯვნა.

შაჰმა, იმას გარდა, რომ ადმინისტრატიული გამგეობა სახელმწიფოსი განაკარგა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრეთვე ჯარში წესების შეცვლას. იმის ხელში ჯარი უფრო კარგად იყო შემდგარი, ევროპიულად ჰქონდა სამხედრო სწავლა შეთვისებული, დისციპლინა დამყარდა და სპარსეთის ჯარის-კაცმა პირველად დაინახა კარგი ტანისამოსი და პირველად მოესწრო იმისთანა დროს, როცა ჯამაგირი წესიერად ეძლეოდა. 1860 წელს, შაჰის სურვილისამებრ, სპარსეთში გაგზავნილ იქმნა საფრანგეთის მთავრობის მიერ აფიცერი დიუგუსე (Dohausset) სხვა ჯარის მასწავლებლებითურთ და ესენი ასწავლიდნენ 30,000 მეტს ჯარს სამხედრო საქმეს. შემდეგ ამავე განზრახვით დაიბარა ნასრ-ედინმა ინგლისისა, რუსეთისა და ავსტრიის ჯარის მწვრთნელნიც და ამით უწეს-ურიგო

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

სახელის ძიება.—დავეხსნათ ქარ-ბუქის აყენებას. გვაინაზო თუ არა?—საინგილოს ამბები.

დღევანდელ რიგიან კაცისათვის ყველაზე სასურველი და სანატრელი ის არის, რომ ქვეყანაში მოიპოვოს სახელი ან დიდის სწავლულისა და ჭკვიანისა, ან ყოვლად პატიოსან ადამიანისა და სასარგებლო მოღვაწისა. რასაკვირველია, უფრო უპრიანი-კი იქნება, თუ ამ რიგიანს კაცს სწავლა-მეცნიერებასთან ერთად შედუღებული და შეთვისებული ექნება საგანგებო პატიოსნება და მოუღალავი ხალისი ქვეყნის თავ-განწირულ სამსახურისა. დღეს მხოლოდ ეს ორი გზა-ღა დარჩენია კაცს, რომ დაიმსახუროს ყურადღება, პატივისცემა და სიყვარული ქვეყნისა. ამის გარეშე აღარ მოიპოვება არავითარი ღონისძიება სახელის მოხვეჭისა.

მართალია, მეცნიერთა და საქვეყნო მოღვაწეთა შორის უფრო დიდი სახელი იმას ერგება ხოლმე, ვინც სრულებით არა ჰფიქრობს თავისს სახელზე, ვისაც ერთიან დაჰვიწყებია საკუთარი თავ-მოყვარეობა და უყვარს მხოლოდ საქმე, შეჰხარის და შესტრფის ამ საქმის წარმატებას. მაგრამ ვერც იმას გაახვევთ მჩვარში, რომელიც თავიდამ ფეხამდე შეუბოჭია თავ-მოყვარეობას და ამ თავ-მოყვარეობის გამო სულ იმის მეცადინეობაშია, რომ დიდის ცოდნით, დაუძინებელის შრომით დაიმსახუროს სახელი სასარგებლო კაცისა. ამ შემთხვევაში დეე სათავედ იყოს თავ-მოყვარეობა, ოღონდ-კი სახელის მძებნელს ღონეც შესწევდეს, ოღონდ იმას არა ჰღალატობდეს არც ნამდვილი ცოდნა და არც თავდადებულობა საქვეყნო საქმისათვის—იგი უეჭველად მოეწევა თავისს წყურვილს, იგი დაიამებს საკუთარის გულის ტკივილებს, უსიკვდილოდ შეესწრობა დროს, როდესაც იგი შეიქმნება ქვეყნის სალაპარაკო გმირად, შეჰხვდება წილად პატივისცემა და მადლობა საზოგადოებისა.

მაგრამ ძნელი ის არის, როდესაც დაუშრეტელის წყურვილით ეძებთ ასეთს სახელს დიდებულის კაცისას, სახელს დიდის მეცნიერისას, ფილოსოფოსისას, თუ საქვეყნო მაშვრალისას, შესტრფით ამ სახელს, გინდათ, რომ ქვეყანა თქვენ შემოგხაროდეთ, ყველანი ხელით გატარებდნენ, მუხლს იდრეკდნენ წინაშე თქვენის ჭკუისა და პატიოსნებისა, ყველას გული და თვალი თქვენზე ჰრჩებოდეთ,—გესიზმრებათ ყოველივე ესა და, მიუხედავათ ასეთის ცხარე სურვილისა, არ შეგწევთ თქვენი საკუთარი ღონე, გღალატობთ სიცარიელე თავისა, გარჩობთ გაუწვრთნელობა და უსუსურობა გულისა.

ამ უკანასკნელ უბედურ შემთხვევაში ვერას გზით ვერ დააამებთ ტკივილს თქვენის გულისას, ვერ მოიკლავთ წყურვილს სასიამოვნო სახელის მოპოვებისას. გინდაც, რომ დღენი თქვენნი სულ შუბლ-შეჰმუხვნილნი იაროთ, გინდაც რომ სულ სამეცნიერო საგანი გეკეროთ პირზე, და მისი გაგება-კი არა გქონდეთ, გინდაც რომ სულ საქვეყნო საქმე გადგეთ ენაზე,—ბევრი-ბევრი, მოახერხოთ ისა, რომ ქარ-ბუქი ააყენოთ უმეცართა თვალში. ამას ვერ გასცილდებით და თქვენი სახელი სამასხარო სახელად თუ იქნება, ვიდრე იცოცხლებთ, და გაჰქრება თქვენის სიკვდილის უმალ, თითქო არც-კი მოსულხართ ამ ქვეყანაზეო. ამისთანა უბედურს კაცზე სწორედ ზედ გამოჭრილია ლექსი:

> რასაც ეძებ, ვერ ჰპოვებ—
> გეტყვი წმინდის გულითა—
> ვერა ჰპოვებ, რადგანაც
> ღარიბი ხარ სულითა.

აქ მეტი სახსარი არ არის, ქვეყნის მოღვაწეთ კი არ უნდა მიჰბაძოთ, არამედ უნდა გაიმეოროთ მაგალითი გეროსტრატისა, რომელმაც სახელის მოსახვეჭად იმის მეტი ველარა მოაგვარა-რა, რომ გადასწვა სობორო, ის უმშვენიერესი ნიმუში ადამიანის ხელოვნებისა... მაგრამ ვაი მაგისთანა სახელს და ვუი მის მძებნელს...

**

ხოლო ეს სიტყვა შორს წაგვიყვანს და ამიტომ სადღეისოთ საინგილოზე მინდა გამოველაპარაკო ჩემს მკითხველს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ჩემთან ერთად აღიარებს გულ-მართლად, რომ საინგილოსი, როგორც ჩვენის ქვეყნის ყველა სხვა კუთხისა, ძალიან და ძალიან ცოტა რამ იცის. ამ თავითვე ხელი ავიღოთ ბაქიაობაზე, ნუ ავაყენებთ ტყუილუბრალოდ ქარ-ბუქსა და ქარაშოტს, ვითომც ცოდნა ველარა გვტევია თავში და შეგვისწავლია თითქმის ყოველივე, ასე რომ აღარა გამოგვეპარება-რა თვალიდამ არცა ვარსკვლავნი ცისანი, არცა დაფარულნი ქვესკნელისანი, არცა ქვიშანი ზღვის ძირისანი. დეე, ქარ-ბუქი ააყენონ იმათ, ვისაც ეხალისებათ და ამის მეტი ვერა მოუხერხებიათ-რა სიღარიბისა გამო სულისა თვისისა. ჩვენ ყოველთვის გვიყვარდა ქართული გულ-წრფელობა და თავის დღეში არც აგვიქცევია მისთვის გზა განზრახ. არც დღეს ვუმტყუნებთ და, თუმცა ასე საძრახისია უმეცრება, მაგრამ ჩვენ მაინც ვერავის დავუმალავთ, რომ საინგილო ჩვენ ძალიან ბუნდადა გვაქვს წარმოდგენილი, ვიცით მხოლოდ მისი თითოოროლა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბავი, მაგალითად ისა, რომ ინგილოებიც ჩვენსავით ქართველები არიან, რომ საინგილოს ოლქის ქალაქი ზაქათალაა, მოგვიკრავს ყური იმ ამბისთვისაც, რომ საინგილოში ბევრი მოჰყავთ აბრეშუმი და ბრინჯი, გაზეთებში წაგვიკითხავს, რომ მთელს საინგილოში სულ ორი თუ სამი სახალხო სკოლაა და ისიც დაბალის ღირსებისა. მეტი ჩვენ არა ვიცით-რა.

საინგილო სწორედ ცხვირ წინ გვაკრავს და დღევანდლამდე იშვიათს ქართველ ინტელიგენტს დამისახელებთ, გარეშე ინგილოებისა, რომ სოფელ კახის იქით ან-კი ყური მოეკრას ინგილოს სხვა სოფლის სახელებისთვის. როგორა სცხოვრობს ეს ქვეყანა, რითი იბრუნებს სულს, როგორ ათენებს დღესა და როგორ აღამებს ღამეს, რა მერმისი უწერია სახვალიოთ,—ამისი ჩვენ სრულებით არა გაგვეგება-რა. არც საკვირველია, იმიტომ-რომ

ხროვა კაცებისა მშვენიერ რაზმებად დააწყო, სამხედრო საქმე ფეხზედ დააყენა. 1861 წ. შაჰის ბრძანებით სპარსეთში გაამართა პირველი ელექტრონული ტელეგრაფი, რომლის არსებობა სპარსეთის მკვიდრთა უმეტესობას წარმოდგენელიც არა ჰქონდა.

მხედრობის დროს შაჰი ნასრ-ედინი თითქმის ყოველ ომში იმარჯვებდა, ხოლო ის სამხედრო სიძლიერეს არ ეტანებოდა, უფრო თავისის ქვეყნის განათლება ჰქონდა სახეში და ამაზრითვე თითქმის მუდმივ დამოგზაურობდა. შაჰის ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით თეირანში დაარსდა ორი უმაღლესი სასწავლებელი: უნივერსიტეტი და სამხედრო აკადემია. ამას გარდა სხვა სასწავლებლებიც იქმნა გამართული თავრიზში. შაჰის ეხლანდელ მინისტრთაგან ზოგიერთი ზემოხსენებულ სასწავლებლებში აღიზარდნენ და შემდეგ სახელმწიფო ხარჯით გაგზავნილ იქმნენ ევროპაში სწავლის დასამთავრებლად. შაჰისავე ხელმძღვანელობით, როგორც თეირანში, აგრეთვე სპარსეთის სხვა ადგილებშიაც, დაარსდა რამდენიმე სპეციალური სასწავლებელი, მაგალითებრ, ბაღოსნობისა, აბრეშუმის მოყვანისა და სხ.

ნასრ-ედინი, ჯერ კიდევ თავრიზში ცხოვრების დროს, დიდად ჰმფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას და თითონაც გულ-მოდგინე მიმდევარი იყო მეცნიერებისა და ხელოვნებისა. მაგალითებრ, უწინდელი მბრძანებელი ირანისა საოცარი კალიგრაფია, მხატვრობას მისდევს და საშინლად უყვარს მუსიკა. სამეფო ტახტზედ ასვლისათანავე მან შეადგინა სპარსეთში ხელოვნებათა სამინისტრო. იმის ქვეშევრდომთაგანი გამოიჩენდა თუ არა ხოლმე ვინმე მხატვრობის ნიჭს, მეფე მაშინვე საზღვარ-გარეთ ჰგზავნიდა მხატვრობის შესასწავლად, ასე რომ ამ ჟამად სპარსეთში ბევრი იპოვება ნიჭიერი მხატვარი, არხიტექტორი, ტეხნიკი, რომელთ შემწეობითაც მთელს სპარსეთსა და განსაკუთრებით თეირანში ბევრი მშვენიერი შენობაა აგებული.

შაჰის ხელმძღვანელობით შეუდგნენ შედგენას სპარსეთის სახელმწიფო ისტორიისას, რომლისათვისაც ჯერ კიდევ სულთან-ჰუსეინის მეფობის დროიდგანვე, ე. ი. 300 წლის წინად, თითქმის არავითარიმე ყურადღება არა ჰქონდათ მიქცეული. ნასრ-ედინმა ისტორიის შედგენა მიანდო თეირანის უნივერსიტეტის დირექტორს, რიზა-ყული-ხანს, რომელსაც ეხმარებოდა რამდენიმე პროფესორი იმავე უნივერსიტეტისა და მეცნიერი. ამ საქმეს ისეთის გულ-მოდგინებით შეუდგნენ, რომ ამ ჟამად უკვე დაბეჭდილია შვიდი წიგნი სპარსეთის ისტორიისა. შაჰმავე გასცა ბრძანება, რომ გადაეთარგმნათ რუსულიდგან სპარსულად „ისტორია პეტრე დიდისა“, გამოეცათ და გაევრცელებინათ სპარსეთის ყველა სასწავლებელში. შემდეგ, სპარსეთის შაჰის ბრძანებითვე, გადათარგმნილ იქმნა სპარსულს ენაზედ მთელი ისტორია რუსეთში გლეხთა განთავისუფლებისა და საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული განყოფილება, რომელიც ყოველსავე რუსეთში მომხდარს ცვლილებას ადევნებს თვალ-ყურს, დაუყოვნებლივ ადგენს ამ ცვლილებათა გამო სპარსულს ენაზედ წიგნაკებს და ავრცელებს მკვიდრთა შორის.

ძნელია იმ საკეთილო ცვლილებათა ჩამოთვლა, რომელიც-კი ნასრ-ედინმა შემოიღო სპარსეთში, თუ რიგიანის გზების გაყვანით და თუ სხვაფრივ. ვისაც სპარსეთი უნახავს ადრე, რასაკვირველია, გაოცდება, ეხლა რომ გასინჯოს, ისე აქვს ამ ქვეყანას ფერი და იერი შეცვლილი. უკანასკნელს წლებში საქმე იქამდისაც-კი მივიდა, რომ სპარსეთში რკინის გზები დაიმართა—პირველში თეირანიდგან შაჰ-აბდულ-აზისამდე და შემდეგ ამულესა და კასპიის ზღვის ნავთსადგურ ჰასან-ამადას შუა. ძველი გზები ეხლა სულ განახლებულია და გაყვანილია აგრეთვე ბევრი ახალიც. თეირანსა და სპარსეთის სხვა ადგილებში დიდ-ძალი ფაბრიკები და ქარხნებია აგებული, მიქცეული აქვს ყურადღება დედამიწაში დაფლულს სიმდიდრეს, სხვა-და-სხვა გვარს მადნეულობას, გაუკეთესებულია ზარაფხანა, გამართულია სტამბები, ლიტოგრაფიები და სხვანი. თეირანის სასახლეში, რომელიც თავისის მეთვალყურეობით ააშენებინა ნასრ-ედინმა, მოთავსებულია საოცრად მდიდარი მუზეი, რომელშიაც შეკრებილია ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებნი და ეხლაც კიდევ იკრიბება. მუზეი მდიდრდება განსაკუთრებით შაჰის ყოველ მოგზაურობის შემდეგ, რადგან ნასრ-ედინი მოგზაურობის დროს ყველაფერს აქცევს ყურადღებას, რაც-კი შესანიშნავია რითიმე.

აი როგორ ასწერს თეირანელი კორრესპონდენტი «Моск. Вѣд.»-სა სიმშვენიერეს შაჰის სასახლისას, რომელიც ნამდვილი ამ ქვეყნიური სამოთხეა თურმე: „ანკარა ტბებს გარშემო გამწკრივებულია ცხელ ქვეყნების მცენარენი. მშვენიერი სანახავია ზურმუხტისებურ მწვანე ბალახში ამაყად მდგარი ბზისა და ნაძვის ხეები. ალვის ხე, ვარდთა ბუჩქები, რომელიც ზამთარ-ზაფხულ ჰყვავის, და ლიმონისა და ფორთოხალის ხეები საამურის სურნელოვანებით ავსებს მიდამოს. რაღაც არა ამ ქვეყნიურადა ჰხდის ამ სურათს გალობა და ჭიკჭიკი ბულბულთა და ათას სხვა მგოსან ფრინველთა. ამ წალკოტში ამაყად დასეირნობენ ტურფა ფარშევანგები, შევარდნები-კი მძიმედ სხედან საგანგებოდ გამართულ ლატნებზე და, თუმცა იქვე მიუბამთ-მიუჯაჭვამთ, მაინც მზად არიან ყოველ მსხვერპლს დაეძგერნენ. მთელი სიმშვენიერე ამ წალკოტისა საკვირვლად ჰმოქმედობს ადამიანზე, უყურებ და ვერ დამტკბარხარ ცქერით, თვალი გიშტერდება, სასიამოვნო ჟრუანტელი გივლის ტანში, გავიწყდება ცხოვრების ყოველივე უსიამოვნება, უსამართლობა და ძალ-მომრეობა, ამ კურთხეულის ქვეყნის მკვიდრთა მიერ გამოვლილი, და გული თავისუფლად და სასიამოვნოდ გიწყებს ცემას.

„შაჰინ-შაჰის ახალი სასახლე ევროპულს გემოვნებაზეა აგებული. ძველი სასახლე დაანგრევინა შაჰმა მაშინვე, დაბრუნდა თუ არა პირველ მგზავრობიდგან. სასახლეში თავ-მოყრილია მთელი სიმდიდრე აღმოსავლეთისა, თუმცა-კი ამ დიდებულის შენობის ოთახები გემოვნებითა და სიკოხტავით ევროპის სასახლის ოთახებს ვერ შეედრება. ამ სასახლის მუზეიში აღურიცხველი სიმდიდრეა. ადამიანის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს მსხვილის მარგალიტის ტოტები, რომელსაც წინად შაჰები ატარებდნენ. შკაფებში შენახულია დაუკუთხავი ალმასები, რამდენიმე მსხვილი ზურმუხტი და ორი-სამი ნაჭერი ძნელად საშოვნელ შავის ბრილიანტისა. დარბაზის ბოლოში სავარძელი სდგას ფათ ალი-შაჰისა, შემკული ალმასით, იაგუნდით, ზურმუხტით, ფირუზითა და ლალით. სავარძლის თავი ვარსკვლავისებურად არის მოყვანილი და შეჭედილია პატიოსანის თვლებით. იქვეა შესანიშნავი გვირგვინი ფათ-ალი-შაჰისა, შემკული მსხვილის ალმასებით,—სკიპტრა, რომელზედაც ალმასებითვეა გამოყვანილი ახალი მთვარე, და შაჰის ტანისამოსი, რომლის ნაპირებზედაც მარგალიტია ასხმული. ცოტა მოშორებით აწყვია ხანჯალი და ხმალი ფათ-ალი-შაჰისა, ძვირფასის ქვებით მოჭედილი. იქვეა ტახტის კვარცხლბეკი, რომელზედაც სდევს გლობუსი, 1,500 თუმნად ღირებული. გლობუსზედ ზღვები საფირონით, ანუ იის ფერის იაგუნდით არის გამოყვანილი, ხოლო ქალაქების სახელის ასოები ძვირფასის ქვით არის დაწერილი. ეს გლობუსი რამდენადაც ძვირფასია, იმდენად გეოგრაფიულის შეცდომებით არის სავსე. იქვე სდგას ბუჩქი, ძვირფასის ლითონითა და ქვებით გაკეთებული,—რომლის ყლორტებზედაც ათასობით არის ასხმული შაჰის ბეჭდები“.

დიდად ხელს უმართავენ ქვეყნის საუკეთესოდ გაწყობა-განკარგებასა და ათას გვარ საკეთილო ცვლილებათა შემოღებაში ნასრ-ედინ შაჰს მისი შვილები. ამათგან პრინცს მუზაფერ-ედდინ-მირზას, მემკვიდრეს ტახტისას და 1853 წელს დაბადებულს, უკვე უჭირავს ადერბეიჯანის მმართველის თანამდებობა და მუდმივი საცხოვრებელი ბინა თავრიზში აქვს; მეორე შვილი შაჰისა, ზილლი-სულთანი, 1853 წ. დაბადებული, მმართველია ისპაჰანისა, და მესამე შვილი, ნაიბ-ულ-სულტანე—პრინცი კამრან-მირზა, 1856 წ. დაბადებული, სამხედრო მინისტრია და მთავარ მართებელი მთელის სპარსეთის ჯარისა. ეს მესამე შვილი თეირანში სცხოვრობს. ამ ჟამად სპარსეთის ჯარი 50,000 კაცისაგან შესდგება, ხოლო თუ ომი მოუხდა, შეუძლიან 200,000 კაცამდე გამოიყვანოს. შაჰს სამი ძმა ჰყავს და სამიც და ამ ჟამად.

როგორც ზემოდაცა ვსთქვით, პირველად ირანის მბრძანებელმა იმგზავრა ევროპაში 1873 წელს. მაშინ შაჰინ-შაჰი, რუსეთს გარდა, ბრძანდებოდა პრუსიაში, ბელგიასა, ლონდონსა, პარიჟსა, მერე შვეიცარიასა და ჩრდილოეთ იტალიაში; შემდეგ რამდენიმე ხანი დაჰყო ვენაში, სადაც იმ დროს მსოფლიო გამოფენა იყო გამართული; შეისვენა აგრეთვე სტამბოლში და იმავე წლის 23 სექტემბერს დაბრუნდა თეირანს. შაჰს მოგზაურობის დროს თან ახლდნენ თავის ოჯახის წევრთა უმეტესობა და იმის ამალაში იმყოფებოდნენ აგრეთვე უპირველესნი მინისტრნი სპარსეთისანი. მეორედ შაჰმა 1878 წელს იმგზავრა. დასასრულ, ათის წლის შემდეგ მოინდომა კვლავ სპარსეთის მბრძანებელმა ევროპის ნახვა და წელს აგერ მესამედ აძლევს სალამს ტფილისი თავისს დიდებულს სტუმარს.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 4 მაისს, დილა ადრიანვე იყრიდა ხალხი თავს სასახლის ახლო, განსაკუთრებით მუსულმანობა. სასახლის თავზედ ჰფრიალებდა მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის დროშა, რომელზედაც დახატულია მზე და ლომი. დილის ათ საათზედ 1-ლის კლასიკურ გიმნაზიის მოწაფენი დათხოვნილ იქმნენ მეორე

---

სხვაგნიდამ მისული ინტელიგენტი დაჩუმებულია და ხმას არ იღებს საინგილოზე, თვით ინგილოელნი მწიგნობარნი-კი, ვითარცა მწიგნობარნი თუნდა კახეთისა, ქიზიყისა და ლეჩხუმისანი, თავიანთის ყურადღების ღირსად არა სთვლიან დარდსა თუ სიხარულს სამშობლო ქვეყნისას.

**

რაკი ასე შორს არის ჩვენი ლიტერატურა საინგილოს ავ-კარგიანობაზე, მკითხველი არ დამემდურება, რომ გავუზიარო ზოგიერთი ფრიად საყურადღებო ამბავი ამ საინტერესო ქვეყნისა. პირველი ადგილი ამ ამბებში უჭირავს ერთს გარემოებას, რომელიც ყველაზე ნაკლებ არის მოსალოდნელი. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ მთელი ერთი კუთხე ჩვენის ქვეყნისა თავით ბოლომდე დასახლებული იქნებოდა ხალხით, ვისთვისაც არა არსებობს მერვე მცნება—„არა იპარო“. ესეთი კუთხე ყოფილა ჩვენთვის აქამომდე უცნობი საინგილო, სადაც ყველანი დიდით პატარამდე ერთობ ეწინააღმდეგებიან ამ მცნებას და არიან თავიანთთვის არხეინად, თითქო რწყილიც არ აჰფრენიათო.

მე, რასაკვირველია, შემიძლიან გავინაზო გასაშტერებელ, გამაშტერებელ თუ გამოშტერებულ ნარ-დონივით და არ დაგისახელოთ წყარო, საიდამაც ამოვკრიბე ასეთი საკვირველი ამბავი ინგილოთა ცხოვრებისა. მაგრამ ეჰ, ჯანი გავარდეს, არ ავხირდები, რადგანაც პირველი ესა, რომ მე უფრო სადა კაცი გახლავართ, და მეორეც ისა, რომ ჩემს დღეში ვერ გავიჭირებ საქმეს ისე, როგორც გაიჭირა სახელის მაძიებელმა ნარ-დონმა, რომელიც არწმუნებს ქვეყანას, ვითომც ეშოვნოს ახალთ-ახალი წიგნი და ამ წიგნში გამოძიებული იყოს, ვითომც კავკასიაში ხაზარები სცხოვრობდნენ დღესაც, ხელ-უხლებლად შენახული ჰქონდეთ თავიანთი უწინდელი ენა, უფლებანი, ზნე-ჩვეულებანი და სხვა ამისთანები. გინდაც რომ მართლა იყოს სადმე ასეთი წიგნი, მეტი რა გზა ექნება კაცს, რომელმაც ამისთანა საკვირველს წყაროზე დააფუძნა თავისი სასაცილო ფილოსოფია ისტორიისა, რომ არ გაინაზოს და უკან არ დაიწიოს მის დასახელებაზე!

ჩვენი საქმე შესახებ საინგილოს ქურდობისა სრულებით სხვა გვარია და ინგილოელთა ამბების ამოსაკრებად არ არის საჭირო რაღაც ნაირი კუდიანობა, მანქანება და კარაბადინი. საკმარისია იშოვოთ გაზეთ „მეურნის“ მესამე ნომერი ამ წლისა და თვალი გადაავლოთ წერილს, რომელსაცა ჰქვიან „ქურდობის გავლენა მეურნეობაზედ საინგილოში“.

ავტორს ეტყობა საფუძვლიანად შეუსწავლია ინგილოელთა ყოფა-ცხოვრება და, აი სხვათა შორის, რას გვეუბნება იქაურს ქურდობაზე: „კიტრი-პარიობა ქურდობის პირველ დაწყებითი სკოლა გახლავთ, საიდგანაც ეს ხელობა იღებს სათავეს, იზრდება და დიდდება, როგორც ზვავი პატარა თოვლის გუნდისაგანაო“. უნდა იცოდეთ, რომ ეს სკოლა განსაკუთრებული და საგანგებო-კი არა ყოფილა საინგილოში. არა, თურმე ქვას რომ ფეხი წამოჰკრათ, ასეთი სკოლა დაგხვდებათ წინ, თუ ქალაქში, თუ დაბასა და სოფლებში, ყველგან და ყოველ ცისმარე დღესა და ღამეს.

ასეთ ამბის შემდეგ ჩვენ სრულებითაც აღარ გვიკვირს, რომ საინგილოში მცირეა წერა-კითხვის სკოლები. ინგილოებს სხვა სკოლებისთვის მიუმართავთ და საკუთარი ფერიც დაუდვიათ ამ სკოლებისთვის, სადაც თურმე სწავლა მიდის ისეთის წესიერებით, ბეჯითობით, რიგითა და თანდათანობით, როგორც მოითხოვს უკანასკნელი სიტყვა სწავლების ხელოვნებისა.

ამ სკოლებში, როგორცა ჰნახეთ, სწავლის ანბანას შეადგენს კიტრიპარიობა. აქედამ იდგამს ფეხს შეგირდი, აქ გაიღებს თურმე პირველს გემოს ქურდობის მეცნიერებისას. თანაც კიტრი პარიობაში ისეთი გემო და ისეთი სიტკბო ყოფილა, რომ რაკი კაცი შესდგამს ფეხს ამ გვარს სკოლაში, მერე თავს ველარ ანებებს, თანდათან ღრმად და საფუძვლიანად ეუფლობა ასეთ ახირებულ მეცნიერების ფართო საბძანებელში.

აი როგორ განაგრძობს ავტორი თავისს აღწერას: „ვინც წლეულს კიტრი-პარიობას ვარჯიშობდა, მეორე წელს, თითქო მეორე კლასში გადავიდაო, ყოველ-გვარ ბოსტნეულ ნაყოფს იპარავს. მესამე წელიწადს იპარავს ალიბუხარს, ქერამს, ვაშლს, კაკალს, თხილს და, უკეთუ კარგი ნიჭი გამოიჩინა, ყურძენსაც. ყურძნის-პარიობიდგან შემდეგ კლასებში გადადის, ქათმის, ბატკნის და ცხენის-პარიობაში. აქ ხელობა ცოტა ძნელდება: ცხვრის მოსაპარავად ეზოში უნდა შევიდეს, სადაც პატრონი ფრთხილად არის და მისი ერთგული ჰასასი ძაღლებიც. შემდეგ და შემდეგ კლასებში ვარჯიშობა უფრო და უფრო ძნელდება—საჭიროა სახლის გატეხა, იქიდგან საქონლის გამოყვანა და ისეთს ადგილას გაყიდვა, რომ პატრონმა ველარ დაიბრუნოს და, თუ დაიბრუნა, ვერ მიაგნოს ქურდს... ასეთს ხელობას თავისი განთქმული „პროფესორებიცა“ ჰყავს და დიდს პატივშიაც არიან ეს პროფესორები ქურდებისაგან. მათი სახელი განთქმულია მაღრიბიდგან მაშრიყამდე“.

**

აქამდე მე შურის თვალით შევყურებდი შვეციასა და ნორვეგიას, სადაც სახალხო სკოლები ჩეჩქივით არის მოდებული და სადაც ასში თითქმის ოთხმოც-და-თექვსმეტი სული უთუოდ სკოლაშია გატარებული. ეხლა კი თითონ მეც შემიძლიან დავასახელო ისეთი კუთხე ჩემის სამშობლო ქვეყნისა, სადაც სკოლას ასეთი მკვიდრი ბინა გაუკეთებია, როგორც საინგილოში. მართალია, ეს სკოლა ქურდობის სკოლა ყოფილა, მაგრამ მაინც სკოლაა, რომლის მეცნიერებაც ძვალსა და რბილში დასტრიალებია საინგილოს ქართველობას. სკოლებში სხვა-და-სხვა კლასებია, კლასიდამ გადადიან კლასებში. ზოგს ისე გაუთავებია თავისი შესაფერი სწავლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილს შემდეგ და ებრძანათ, რომ 11 საათზედ უკანვე დაბრუნებულიყვნენ მუნდირებში მოწყობილნი. გოლოვინის პროსპექტი თანდათან ხალხით ივსებოდა; სასახლესთანვე იდგნენ ყაზახები და ელოდნენ ირანის მბრძანებლის გამობძანებას.

სწორედ შუადღის პირველი საათი იყო, რომ კარებში გამოჩნდა სპარსეთის შაჰი, რომელსაც თან მოჰყვებოდა მისი ბრწყინვალება თ. მთავარ-მართებელი და ამალა. შაჰმა სალამი უთხრა ყაზახებს და პასუხად ერთხმივი სალამივე მიიღო. აქვე კარებთან მისმა უდიდებულესობამ მიიღო სპარსეთის რამდენისამე ქვეშევრდომისაგან არზა, შემდეგ ჩაჯდა ეტლში და კადეტის კორპუსში წაბრძანდა. კადეტის კორპუსის შენობა ლამაზად იყო მორთული ყვავილებითა და დროშებით. შაჰი მიესალმა კადეტებს, უყურა იმათს მწყობრს სიარულს, 10 წუთი იქ დაჰყო, დაბრუნდა უკანვე და ტფილისის 1-ლ კლასიკურ გიმნაზიაში ინება შევლა. გიმნაზიის კიბეები და სარეპეტიციო ოთახიც მორთული იყო, დაფენილი ხალებით და გამშვენიერებული ყვავილებით. შებრძანდა თუ არა მისი უდიდებულესობა და სალამი მისცა შეგირდებს, გაისმა ხანგრძლივი „ურას" ძახილი შეგირდებისა და შეგირდებისაგანვე შემდგარმა ორკესტრმა დაუკრა სპარსეთის საერო ჰიმნი.

ამას შემდეგ მე-VIII კლასის მოწაფემ მამადბეგოვმა წაუკითხა მის უდიდებულესობას პატარა ლექსი, სპარსულად დაწერილი. მერე მისმა უდიდებულესობამ ინება და უყურა გიმნაზიის მოწაფეთა მარშს გიმნაზიისავე მუსიკაზე. მის უდიდებულესობას ფრიად მოეწონა გიმნაზია და მოწაფედ ნება მისცა, რომ შეგიძლიანთ ორი დღე იდღესასწაულოთო. გიმნაზიაში მისმა უდიდებულესობამ დაჰყო 25 წუთამდე და შემდეგ წაბრძანდა წმ. ნინოს სასწავლებელში. აქ შაჰი სულ 15 წუთს ბრძანდებოდა და იქიდგან კავკასიის მუზეუმში გაეშურა. მუზეუმში მისი უდიდებულესობა მთელს საათს იმყოფებოდა, ძალიან მოეწონა მუზეუმი, ყველაფერი ყურადღებით გასინჯა და აქედგან ნაშუადღევის სამს საათზე სასახლეში გაემართა.

*** 6 მაისს, მის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის დაბადების დღეს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი პალლადი იქნება მწირველი სიონის საკათედრო ტაძარში, ხოლო მეორე დღეს, ე. ი 7 მაისს, კვირას, იქნება მწირველი ანჩის-ხატის ეკკლესიაში, სადაც, უწინდელის ჩვეულებისამებრ, შემდეგ წმინდის პასექისა, მრავალნი ევზარხოსნი, რომელთაც აქაურნი მართლმადიდებელნი სიამოვნებით მოიხსენებენ აქამომდე, სწირავდნენ სამღვდელო კრებულით პატივსაცემლად იმისა, რომ ანჩის-ხატის ეკკლესიაში ასვენია პირი ღვთისა და ივერიის ღვთის-მშობლის ხატი. ქართველები ანჩის-ხატში არქიელის წირვაზედ ყოველთვის ბევრნი იკრიბებოდნენ.

*** 7 ამ თთვეს იოანე ზედაძნელის დღეობაა. იოანე ზედაძნელის მონასტერი, რომელიც შარშანდლამდე გაუქმებული იყო, მხოლოდ შარშან აღადგინა კვლავ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, რომელიც შვიდ-მაისობას ამ მონასტერში იქნება მწირველი. მონასტერი, როგორც ვიცით, სოფელს საგურამოს ახლოა, ტყეში, მშვენიერს მაღლობს ადგილას.

*** 9 მაისს იგივე ეპისკოპოსი ალექსანდრე მწირველი იქნება ქართლის მეორე მონასტერში, რომელიც ამავე ეპისკოპოსის საფასითა და წარსაგებელით იქმნა განახლებული და შტატის მონასტრად დაწესებული. ეს მონასტერია შიო მღვიმისა, სოფელს ძეგს ახლო. 9 მაისს ჩვენი ეკკლესია იხსენიებს ღირსისა მამისა ჩვენისა შიო მღვიმელის მიცვალების დღეს.

*** დღეს, დილის ათს საათზედ, დაიწყება წლიური კრება ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა. კრებაზედ დასასწრებლად ბლომად არიან ჩამოსულნი თავად-აზნაურნი ჩვენის დაბა-სოფლებიდამ.

*** შაჰის მობრძანების დღეს ტფილისში ვოგზალზე დახვდა მის უდიდებულესობას სხვათა შორის ჩვენი თავად აზნაურობა და ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ლ. მაღალაშვილი. თავად-აზნაურთა შორის ერია რამდენიმე ქულაჯით ჩაცმულიც, სწორედ ისე, როგორც ხელმწიფე იმპერატორის მობრძანების დროს იყო ჩაცმული მისის უდიდებულესობის საპატიო ყარაული. შაჰმა მიაქცია ყურადღება ამ ტანთ-ჩაცმულობას და დიდად მოიწონა.

*** სოფ. საგარეჯო: ტფილისის მაზრის უფროსის ბ-ნი ლევ. ჯანდიერის აქ მყოფობის დროს სოფ. გიორგი-წმინდისა და საგარეჯოს მცხოვრებნი შეეხვეწნენ მაზრის უფროსს, რომ აღუკრძალოს მუღანლოელ თათრებს იმათ დაუკითხავად მიწების ხვნა ანუ საქონლის ძოვება მიჯნის გამოღმა. ბ-მა ლ. ჯანდიერმა მოისმინა თხოვნა ხალხისა, მაგრამ რადგან მუღანლო ეკუთვნის სიღნაღის მაზრას, ამიტომ საქმის უკეთ გარდასაწყვეტად ხსენებულ სოფლების მამასახლისებს უბრძანა, რომ ვითარება ამ საჩივრისა მოეხსენებინათ აგრეთვე სიღნაღის მაზრის უფროსისათვის. მამასახლისებმაც მოახსენეს. მიჯნის გამოსარკვევ დღედ დაინიშნა 21 აპრილი. ამ დღისათვის საგარეჯო-მუღანლოს მიჯნაზედ უნდა შეყრილიყვნენ ქართველები და თათრები. საგარეჯო-გიორგიწმინდიდგან შეიყარნენ 15-მდე კაცი და თავიანთის მამასახლისებით წავიდნენ დანიშნულს ადგილას. მოვიდნენ და რა ნახეს: მიჯნის ბევრად აქეთ მუღანლოს თათრები აძოვებდნენ დიდძალს საქონელს. ქართველები მიუახლოვდნენ ნახირს და თელა დაუწყეს, რომ ზარალი გადაახდევინონ, მაგრამ თათრებმა ჩხუბი აუტეხეს, მიუსიეს ქართველებს ქოფაკი ძაღლები და კომბლებითა და ხანჯლებით გამოეკიდნენ გამოქცეულებს. ყვირილზე საგარეჯოს ფარეხიდამ გამოვარდა სოლ. ბუზიარაშვილი და, რა დაინახა, რომ თათრების ძაღლები ჰგლეჯავენ ერთს ქართველს, ესროლა თოფი და მოკლა ძაღლი. ამის გამო თათრები (მთელი მათი საზოგადოება იღებდა მონაწილეობას) უფრო გამგელდნენ და დაუწყეს ცემა და დევნა ქართველებს, რომელნიც თავის ფარეხებისაგან გამორბოდნენ. თათართაგან ზოგი ცხენოსანი იყო. და სხვათა შორის ე ია ხას-მამად-ალავერდი ოღლიც, რომელმაც დევნა დაუწყო ილიკო გოდერძიშვილს, დაეწია, სამგან ხანჯლით დასჭრა თავში და აგრეთვე გვერდშიაც. მაშინ ილ. გოდერძიშვილმა გამოსტაცა თოფი ფარეხის კარებზე მდგომარე იოს. ქელიძეს და ესროლა მტერს. ტყვია ხას-მამადს შუბლში მოხვდა და იქვე სული დალია. მიუხედავად ამისა თათრებმა ქართველებს კომბლებით სცემეს, წაართვეს ორი თოფი, 35 მან. ფული, ორი ხანჯალი და მკვდრის გვამი წაიღეს და მიჯნაზე დააგდეს თავის გასამართლებლად. გამოძიების დროს თათრებმა სართიჭალის ბოქაულს, ბ-ნს ნაცვლიშვილს, მოახსენეს, რომ აწინდელი მიჯნა კანონიერი არ არისო. ნამდვილ მაჯნად ჩვენ ახლად დანიშნულს-კი არა ვსთვლით, არამედ იმას, რომელიც ჩვენსა და ქართველებს შორის დადგინდა 1825 წელსაო. რითი გათავდება ეს სამწუხარო საქმე, არავინ იცის. ის-კი ყველასათვის ცხადია, რომ მუღანლოელებისა და, საზოგადოდ, აქაურ თათრების თავგასულობა წრეს გადასულია.

*** 2 მაისს, მე-9 ნაწილში, პროვიზორმა ვილჰელმ შმიტცმა ნაღვლიანს გულზე მორფი მიიღო და თავი მოიწამლა.

*** 3 მაისს მე-2 ნაწილში, მთაწმინდის ქუჩაზე, იპოვეს ახლად დაბადებული ყმაწვილი დედათა სქესისა. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

◆◆

## უცხოეთი

საფრანგეთი. მსოფლიო გამოფენას კარგი დარი დაუდგა. ისეთი დარი დაუდგა, რომ თვით ფრანგებიც-კი არ მოულოდნენ. აფიქრებდათ: 11 წლის წინად გამართულ გამოფენას, მერე ისეთი დიდებული გამოფენას, და ახლა ვაი თუ აღარავინ მოვიდესო. ჩვენ გარდა, სხვაგანაც ბევრგან იმართება გამოფენა, იქაც მიდიან წარმომადგენელნი შრომისა და ხელოვნებისა, ვაჭრობისა და მრეწველობისა და იქაც უჩვენებენ ქვეყანას ყველა თავ-თავისს ნამოქმედარს. ექსპონენტებიც მოიღალნენ და მოსწყინდათ გამოფენა თავიანთ საქონლისა და ნახელოვნებისაო. ათს წელიწადში ან მეცნიერება, ან მრეწველობა, ან ხელობა და ან ვაჭრობა რას გააჩენდა ახალსა და საკვირველს, რომ ღირდეს სულ მეორედ მსოფლიოს მოწვევა პარიჟშიო. აი ამას ამბობდნენ ბევრნი, როცა პირველად მოიფიქრეს დღევანდელის გამოფენის საქმე. მაგრამ ვინც ამას ამბობდა, იმათი შიში არ გამართლდა. დღესაც იმდენი გაჩნდა მსურველი გამოფენაში ადგილი მიეღო, რომ თუმცა ადგილების რიცხვი ბევრად მეტი იყო, ვიდრე 1878 წელს, მაგრამ მაინც ყველა მსურველის დაკმაყოფილება შეუძლებელი გახდა. არა თუ მარტო საფრანგეთიდამ, არამედ ევროპის ყოველ კუთხიდამ და მთელის დედამიწის ზურგიდამ მოაწყდა საფრანგეთს მრავალი მრეწველი, მექარხნე-მეფაბრიკენი, ოსტატი და ხელოსანი ყოველ გვარი, მხვნელ-მთესველი და მიწის-მკეთებელი. მთავარ-მინისტრმა ტირარმა ტყუილად არა სთქვა გამოფენის დაწყების მეორე დღესვე, რომ თუმცა არ მოველოდით ამისთანა დიდს ამბავს, მაგრამ არც-კი გასაკვირველად უნდა მივაჩნიოთ: წარმატება და პროგრესი ისეთი რამ არ არის, რომ სიარულს უკლებდეს, ახალ ახალი თაობა ეშველება მოხუცსა და დგება იმათ ალაგს, ვისაც აღარა შეუძლიან-რა; მეცნიერება სულ გამუდმებულს გამარჯვებაშია და დღე ისე არ გადის, რომ უფრო ღრმად არ ჩაჰხედოს გულში ბუნებას და ცოტა რამ მაინც ამ ამოკითხოს, არ გაგვიმჟღავნოს მისი დაფარული საიდუმლო. ორთქლმა და ელექტრონის ძალამ სრულიად გადაასხვაფერა საქმე წარმოებისა და ეკონომიური წეს-წყობილება. ან-კი ვინ იწინასწარმეტყველებს, რას არ შეიტყობს და მიაგნებს კიდევ მეცნიერება ჩვენთა და შემდეგ თაობათა სასარგებ-

---

რომ თავ-მოსაწონებელ პროფესორებად ითვლებიან და მათი სახელი განთქულა მაღრიბიდამ მაშრიყამდე და მაშრიყიდამ მაღრიბამდე.

მაშ აბა რაღათ უნდა გვიკვირდეს, რომ სადაც ამ გვარი სკოლები ასე გავრცელებულია, იქ ვეღარა ხეირობს საწიგნო სკოლები. ვინ იცის, იქნება ზაქათალაში პირველად რომ სკოლასა ჰმართავდნენ, ინგილოებს ეგონათ, რომ წიგნის სკოლაში უფრო უკეთ გავიმაშირებთ ქურდობის ხელობასა და ფხიზელს მეზობელს ისე გამოვაცლით ქვეშიდამ ხალიჩას, რომ ვერც-კი გაიგოსო. მერე როცა ნახეს, რომ ამ სკოლაში ქურდობის ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა, მაშინვე გული აიყარეს სწავლაზედ და კვლავ მიჰმართეს თავიანთს ქურდობის სკოლას.

აბა წიგნის სკოლას რა პატივი-ღა უნდა ჰქონდეს საინგილოში, როდესაც საკუთარის სკოლიდამ გამოსულს ადვილად შეუძლიან დაიმსახუროს დიდი სახელი და გაითქვას მაშრიყიდამ მაღრიბამდე!..

**

კაცსაო—უწინ ქართველები იტყოდნენ—ყველაფერი სახელისათვის უნდაო, და წარმოიდგინეთ, რომ ინგილონიც მარტო სახელის მოსახვეჭად მისდევენ თურმე თავიანთს ხელობას. ქურდობა იქ იმიტომ-კი არ შემოუღიათ, რომ სიმდიდრე იშოვნონ. ან-კი როგორ იშოვნიან სიმდიდრეს, როდესაც ყველანი ერთიერთმანეთსა ჰპარავენ, რასაც-კი შეათვალთვალებენ. რაც უნდა ბევრი შეიძინოს ინგილომ ქურდობით, მეორე-მესამე დღესვე გამოეცლება ხელიდამ იმიტომ, რომ მისი მეზობელი ვერ მოისვენებს, ვიდრე ცარიელზე არ დასვამს და მოპარულს არ მოჰპარავს, ალბათ იმ ანდაზის ძალით, რომ ქურდის ქურდი ცხონებულიაო. ინგილონი სწორედ სულის საქმეს შესდგომიან და, რაკი ქურდის ქურდი ცხონებულია, ერთმანეთს არას არჩენენ.

**

„ინგილოებიო—მოგვითხრობს იგივე ავტორი—ერთმანეთსა ჰპარავენ ყოველ გვარ პირუტყვს, საშენს თუ მუშას, წვრილსა და მსხვილს, განურჩევლად ყველას, რასაც კი ჩაიხელებენო". იპარავენ ბოსტნეულობას და, რაც დაუმწიფებელია, ჰგლეჯენ ძირიანად, ჰკუწავენ და ჰყრიანო. ვენახებიდამ ყურძენი გააქვთ ქურდებს საპალნობით. იპარავენ მინდვრიდამ „მომკულ ძნას ურმობით, ჩალთუქს, იარაღს—სახნისსა და უღელსაც-კი, კალოდგან გაუცხავებელ პურს, მარნიდამ ღვინოს, არაყს, სახლიდამ ერბოს, ტყიდგან მოჭრილსა და დამზადებულ შეშას, ჭიგოს, ფიჩხს, წნელს და ფიჩხინა ეკალსაც-კი". არც ერთი კაცი არ მოიპოვება საინგილოშიო— ამბობს ავტორი,—თუ მტადრე მართალი კაცია, რომ გითხრათო: „ჩემის მეურნეობით შეძენილისა და შეგროვილის პატრონი მე ვარო". სამაგიეროდ ამისთანა მართებულის სიტყვისა, ინგილოელი, მართალი იქნება იგი თუ მატყუარა, თამამად იტყვის წინაშე თავისს სინიდისისა, რომ რაც კი მას აბადია, ყოველივე წამოღებულია მეზობლის ნაღვაწ-ნაშრომიდამ.

**

ამ სახით, გამოდის, რომ ინგილოელნი ერთი-ერთმანეთსა ჰპარავენ, თითქო მარტო თავიანთის ხელობის სავარჯიშოდ, თითქო ზარალში არავინ უნდა იყოსო. თუ მე მაქვს რამ გადაჭარბებული, მომეპარება მეზობელი და გაჰზიდავს თავისს ბინაში. მერე თუ ახლა მე შევაცნევ მეზობელს რასმე საკბილოს, წავეპარები და ისე ჩავჯიბავ, თითქო ჩემი საკუთრება იყოსო. მთელმა სოფელმა ყოველთვის თურმე იცის, ვინ, ვის, როდის და რა მოჰპარა, მაგრამ ყველანი ულვაშებში ჩაიცინებენ ხოლმე და სამართალში არავის გასცემენო. გეცოდინებათ ანდაზა, რომ ციხეში დაპატიმრებული ქურდი, მოსაპარავი რომ აღარა ჰქონდა-რა, დაჰსვამდა თავისს ქუდსა და მერე ხერხიანად მიეპარებოდა და ასწაპნიდა ისე, რომ თვალი არავის შეესწროო. ინგილოელნიც ამ ქურდივით იკლავენ წყურვილს პარვისას, ხოლო თავიანთს ქუდებზე არა ლაშქრობენ, იმიტომ რომ მეზობლობაშიაც საკმაოდ ეგულებათ მოსაპარი.

**

თუ რამოდენა სარჩო უნდა ეგულებოდეს მოსაპარად ინგილოელს თავისს მეზობლობაში, ამას დაინახავთ იმავ „მეურნის" პირველ ნომრის წერილიდამ: „სოფ. კახის ოთხშაბათობითი ქალაქობა". ინგილოელნი ძრიელ მისდევენ ხვნა-თესვას, ბაღოსნობას, მევენახეობას, აბრეშუმის მოყვანას, ხვადაგის მოშენებასაო—ამბობს ამ წერილის ავტორი. „იქაური კაცი უვლის და ჰკვებავს რქიანს საქონელს, მომეტებულად კამეჩებს და ძროხას, რომელიც თითო კომლზედ ზედი-ზედ ანგარიშით მოდის 20—30 თავი". საინგილოში, წინააღმდეგ დანარჩენის საქართველოსი, ქალები უფრო მეტსა ჰრგებენ ოჯახსა, ვიდრე კაცებიო. იგინი ჰქსოვენ ჩინებულს შალებს, ჰდღვებავენ ერბოს, რომელიც თითო ოჯახზე 5—6 ფუთამდე მოდისო. აგრეთვე დიდ-ძალი ბოსტნეულობა მოჰყავთო. თუ ქია არ გაფუჭდა, თითო ოჯახს წელიწადში 12—15 ფუთამდე მარტო აბრეშუმის პარკი ემატება ქალებისაგან. „დარმა თუ არ უღალატაო— განაგრძობს ავტორი — ინგილოების დედაკაცებს ყოველ წლივ შეუძლიანთ გაიმეტონ გასასყიდად თხილი 10—30 ფუთამდე, კაკალი 10 ფ., შინდი 7—8 ფუთამდე, ქლიავი 4—5 ფ., ვაშლი 30 ფ., წაბლი 10 ფ. და მსხალი 8 ფუთამდე. ამოდენა საცხოვრებელი შეაქვს ინგილოს თავისს ოჯახში. ამასთანავე ნუ დაგვავიწყდებათ, რომ საინგილოში დიდ-ძალი ბრინჯი მოდის, და მაშინ თქვენთვის ადვილი წარმოსადგენი იქნება ის ფართო და მდიდარი ასპარეზი, სადაც წლითი-წლობამდე ვარჯიშობს ინგილოელი და კლავს წყურვილს ქურდობისას.

სანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ? სადაც მიიხედავთ, ყველგან გარჯი-სა და ცოდნის ძლევა-მოსილობასა და გამარჯვებასა ჰხედავთ! მოდი და იმე-დი ნუ მიეცემათ და წელში ნუ გასწორ-დებიან ისინიც-კი, რომელთაც ჰგონიათ, რომ საფრანგეთი დას-დასობამ დაჰღუ-პაო. „დიალაცაო, განაგრძო შემდეგ ტი-რარმა: საფრანგეთი გულ-გრილად არ შეჰყურებს თავისს საზოგადო საქმეებს, კარგად იხსომებს დროთა წარსულთ და აღარავის ადვილად არ ემლევა ხელში. ეხლა უფრო მეტის გაფაციცებით იცავს და იფარავს ჩვენს სხვა-და-სხვა დაწესე-ბულებას, ჩვენს თავისუფლებას, რომ-ლის მოპოვებაც იაფად არ დაუჯდა ჩვენ მამა-პაპას. საფრანგეთი თავისუფა-ლია, სურს საკვლაოდაც თავისუფალი იყოს და არ ინდომებს არავის მტარ-ვალობას. მაგრამ ათას ნაირადაც რომ აწუხებდეს საფრანგეთს ეს დიდი საქმე-ები, იგი მაინც ისევ ისეთი იქნება, რო-გორიც გაჰხადეს ჩვენმა წინაპრებმა, ესე იგი ისეთივე დიდებული, პატიოსანი და გამრჯელიო“.

# დეპეშა

3 მაისი

პეტერბურგი. მემკვიდრე ცესარე-ვიჩი გადავიდა საცხოვრებლად ცარს-კოე სელოში, სადაც განაგრძობს სამ-ხედრო სამსახურს გუსართა ლეიბ-გვარდიის პოლკში.

რაკი სტატს-სეკრეტარი დურნოვო დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტ-როს გამგებლად და თან მისის უდი-დებულესობის საკუთარის კანცელა-რიის მთავარ-გამგებლადაც იქმნა დატოვებული იმპერატრიცის მარია-მის დაწესებულებათა მართვად, უმაღ-ლესად ნაბრძანებია: ხსენებულის კან-ცელარიის მთავარ-გამგებლის თანამ-დებობის აღსრულება იტვირთოს მი-სმა ამხანაგმა, საპატიო მზრუნველმა ზუბოვმა და მიენდოს ამ უკანასკნელს, რომ დურნოვოს მაგიერად წარსდგეს ხოლმე მაღალს სახელმწიფო დაწესე-ბულებაში, ხოლო თავმჯდომარეობა სამზრუნველო საბჭოში იტვირთოს გრაფმა დელიანოვმა, და თუ ის არ და-ესწროს, იტვირთოს საბჭოს უფრო-სმა წევრმა.

წუხელ გარდაიცვალა წევრი სა-ხელმწიფო საბჭოსი ტანეევი.

ბელგრადი. მიტროპოლიტი მიხე-ილი ურჩევს თავისს მომხრეებს, რომ ნუ დამხვდებით დიდის ამბითაო. სა-ზოგადოდ მე წინააღმდეგი ვარ ყო-ველ გვარის მიგებებისა და მისალმე-ბისა, რომელსაც-კი დას-დასობის ხა-სიათი ექმნება, იმიტომ-რომ არ მინ-და განსაკუთრებით რომელისამე და-სის მომხრე ვიყოვო.

ბერლინი. იმპერატორმა მიიღო დღეს დეპუტაცია ქვა-ნახშირის მთხრელ მუშებისა და ჰკითხა დეპუტატებს, რა უნდათ მაინც მუშებსაო. დეპუტატებმა უპასუხეს, რომ მუშებს იმდენად ხელ-ფასის მომატება არ უნდათ, როგორც იმას არიან მოწადინებულნი, რომ რვა საათზედ მეტს არა რჩებოდნენ მღვიმე-მაღაროებშიო. იმპერატორმა უბძანა: მე ყურადღებით ვეკიდები ჩემს ქვეშევრდომთ, მაგრამ მუშებმა უნდა იცოდნენ, რომ დაარღვიეს პირობა და რომ ბევრს იმისთანას დაუშალეს მუშაობა, რომელთაც მუშაობა უნ-დოდათ. ეს დიდი დანაშაულობაა. იმედი მაქვს, რომ მუშებს არავითარი კავშირი არა აქვთ სოციალ-დემო-კრატებთან და არც იქონიებენ შემ-დეგში, თორემ იძულებული ვიქნები სასტიკად მოვიქცე და არავინ აღარ შევიწყნაროვო. ყოველი სოციალ-დემოკრატი იმპერიისა და სამ-შობლოს მტრად მიმაჩნია და, უკეთუ გამოძიებით აღმოჩნდება, რომ მუ-შების აჯანყების დროს სოციალ-დემოკრატული სურვილიც იყო გა-მოცხადებული, ვიხმარ მთელს ჩემს ხელმწიფებას, ხოლო დიდია ხელ-მწიფება ჩემი.

ვენა. „Neue Freie Presse“-ი ამ-ბობს, რომ საკვირველის სისწრაფით შესრულდა რუსეთის კონვერსიების საქმეო.

ლონდონი. რუსეთის ახალის სეს-ხის ბილეთებს ჰყიდულობენ და $1\frac{3}{8}$% მეტს იძლევიან.

რომი. ზემო იტალიის ზოგიერთ ალაგას გლეხ-კაცნი აჯანყდნენ და ანადგურებენ კერძო საკუთრებას.

პეტერბურგის ბირჟა, 2 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | $7\frac{1}{2}$ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148 87 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 13 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | $271\frac{1}{4}$ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | $245\frac{1}{4}$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი

ზედამხედველი კომიტეტი ტფი-ლისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მესხებელთ, რომ ბან-კის წესდების მე-82 §-ის ძალით 1889 წლის 5 მაისს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საერთო კრება წევრთა არწრუნისეულს სა-ხლში, სასახლის ქუჩაზედ. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1888 წლის განმავლობაში;

2) მოხსენება ბანკის მართველო-ბისა სავარაუდო ხარჯთა აღრი-ცხვაზედ 1889 წლისათვის;

3) მოხსენება მმართველობისა და ზედამხედველ კომიტეტისა იმის თაობაზედ, თუ როგორ განაწილ-დეს საყოველთაო საჭიროებისა-თვის 35% წმინდა მოგებისა;

4) მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალოს 1-ლი §-ი ბან-კის წესდებისა;

5) არჩევანი მმართველობის ერ-თის წევრისა, ნაცვლად თ. ი. გ. მაჩაბლისა, და დამფასებელ კომი-სიის ორის წევრისა, ნაცვლად ან-ტონ ნიკოლოზის ძის ფურცე-ლაძისა და თ. გიორგი სარდიო-ნის ძის ციციშვილისა, — რომელ-ნიც რიგისამებრ ანებებენ თავს სამსახურს. (5—5)

ქუთაისის თავად-აზნაურთ საად-გილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-17 § ძალით ბანკის გამგეობის სადგურში სა-ზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგი-რავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესა-ხვედრ გადასახადთა შემოუტან-ლობის გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრო-ნენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გადა-სახადს და თან განცხადებათა ხარ-ჯებს.

## $18\frac{7}{12}$ წლიანნი სესხნი.

### ქ. ქუთაისს

ვარდანაშვილისა, გიგო მახარობე-ლის ძის: ნემეცის კუჩაზე ერთ-სარ-თულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15,42 ოთხ კუთხი საჟ.

დარახველიძისა, მიხეილ ერასტოს ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკი-რის სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მი-წა 312 ოთხ-კუთხი საჟ.

ხმალაძისა, მეთოდე სპირიდონის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულია-ნი ქვითკირის დუქანი და მიწა $7\frac{1}{4}$ ოთხ-კუთხი საჟ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის: ეო-გზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა 2330 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნე-ბი სარდაფით და მიწა $103\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ.

შამირანოვისა, იოსებ ივანეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჟ.

დიასამიძეთა, ნესტორ და სამსონ მი-ხეილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 ოთხ-კუთხი საჟ.

მიქელაძისა, ეკატერინე კონსტან-ტინეს ასულის: ორპირის ქუჩაზე მი-წა 442 ოთხ-კუთხი საჟ.

ალიბეგოვთა, ალექსანდრე, იოსებ და ივანე ხეთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 ოთხ-კუთხი საჟ.

გოგიბაძისა, სიმონ დიმიტრის ძის: ინგლისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 ოთხ-კუთხი საჟ.

ზაიცევთა, ევლამპი და ელისაბედ: ორპირის ქუჩაზე ორი ერთ სართუ-ლიანი ქვითკირის სახლები და მიწა 81 ოთხ-კუთხი საჟ.

ქუთათელაძეთა, კლემენტი პეტრეს ძის და მეუღლისა მისისა ეკატერინე-სი: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულია-ნი ქვითკირის სახლი და მიწა 200 ოთხ-კუთხი საჟ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბა-ლახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 54 ოთხ-კუთხი საჟ.

ალიბეგოვთა, იოსებ, ალექსანდრე და ივანე ხეთისოვარის ძეთა: ლევა-შოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართუ-ლიანი სახლი და მიწა 1270 ოთხ-კუთხი საჟ.

კიკიანისა, ტასია გლახუას ასულისა: ზუბოვის შესახვევში ერთ-სართულია-ნი სახლი და მიწა 144 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა აღხაზოვისა, ივანე კაციას ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 334 ოთხ-კუთხი საჟ.

ლორთქიფანიძისა, ნიკოლოზ გი-ორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 ოთხ-კუთხი საჟ.

რუხაძისა, კესარია ათანასის ასუ-ლის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართუ-ლიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 ოთხ-კუთხი საჟ.

სანანევისა, პეტრე თედორეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 311 ოთხ-კუთხი საჟ.

დოდობერიძისა, ნიკოლოზ ზაალის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართუ-ლიანი ხის სახლი და მიწა 213 ოთხ-კუთხი საჟ.

გეგელაშვილისა, ანტონ სიმონის ძის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 439 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა ზალინოვისა, ნიკო-ლოზ ენოქის ძის: ქარვანსარაის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა 36 ოთხ-კუთხი საჟ.

ზერგელისა, ნატალია მოსეს ასუ-ლის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართუ-ლიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 198 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა იოსელიანისა, გიორგი ზურაბის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 440 ოთხ-კუთხი საჟ.

ქალანთაროვისა, დავით კარაპეტის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 298 ოთხ-კუთხი საჟ.

რუხაძისა, ვასილ ბუქუას ძის და ახობაძისა, სტეფანესი: ორპირის ქუ-ჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა $91\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენ.

მესხისა, მიზარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სარ-თულიანი ქვითკირის სახლი სარდა-ფით და მიწა 189 ოთხ-კუთხი საჟ.

მატარაძეთა: მიხეილ, ივანე და იო-სებ დიმიტრის ძეთა: ხიდაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 138 ოთხ-კუთხი საჟ.

ნაიტაკისა, ანნა ბესარიონის ასუ-ლისა: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართუ-ლიანი ხის სახლი და მიწა 213 ოთხ-კუთხი საჟ.

ფეიქაროვისა, იოსებ სტეფანეს ძის: ტფილისის ქუჩაზე ორი ქვითკირის ერთ-სართულიანი სახლი 169 ოთხ-კუთხი საჟ.

რუხაძისა, ლუკა ნიკოლოზის ძის: ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა $24\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ.

ხურციძისა, თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, დუქანი და მიწა 860 ოთხ-კუთხი საჟ.

სუხჯუასი, ნიკო გიორგის ძის: არტილერიის ქუჩაზე ერთ-სართუ-ლიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1473 ოთხ-კუთხი საჟ.

ჩარკვიანისა, გიორგი ოქროპირის ძის: წულუკიძის შესახვევში ორი სა-ხლი — ერთი ორ-სართულიანი და მე-ორე ერთ-სართულიანი და მიწა 63 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუ-თაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 8006 ოთხ-კუთ-ხი საჟ.

ჩიკვაიძისა, მიხეილ თომას ძის: სი-ლაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 106 ოთხ-კუთხი საჟ.

ერისთვისა, კონსტანტინე სიმონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორი ორ-სა-რთულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1200 ოთხ-კუთხი საჟ.

ალავიძეთა: ნიკოლოზ და ნოშრე-ვან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუ-ჩის შესახვევში ორ-სართულიანი სა-ხლი და მიწა 224 ოთხ-კუთხი საჟ.

ბინიაურიშვილთა, არონ, დავით, ისხაკა და მიხეილ ელოს ძეთა: ბა-ზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი და მიწა 7 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა გურაძისა, ნიკო გლა-ხუას ძის, გარდასული სოლომონ წე-რეთელზე: ალექსანდრეს სლობოდის მეორე ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 279 ოთხ-კუთხი საჟ.

გოკიელოვისა, იაკობ ივანეს ძის: ნემეცის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლი და მიწა 288 ოთხ-კუთხი საჟ.

გაბუნიასი, მიხეილ ბექანის ძის და ძაგანიასი, ოთარა დუტუს ძის: გეგუ-თის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა და მეორე ხისა და მიწა 103 ოთხ-კუთხი საჟ.

დუჩაიძისა, სოლომონ არტემის ძის: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი დუქნები და მიწა 57 ოთხ-კუთხი საჟ.

კზიკოვისა, რაფაელ სიმონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 44 ოთხ-კუთხი საჟ.

ყაუხჩევისა, ნინო გიორგის ასულის: ივანოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი სა-ხლი და მიწა 264 ოთხ-კუთხი საჟ.

მაჩიტაძისა, ტერენტი გიორგის ძის, გადასრული ნიკოლოზ ნიქაშვი-ძეზედ. რიონის ქუჩაზე ორ-სართუ-ლიანი სახლი და მიწა 353 კვადრ. საჟ.

მარჯანოვისა, კონსტანტინე ანდრიას ძის: არქიელის გორაზე ერთ სართუ-ლიანი ქვითკირის სახლი ბაღით და მიწა, 1800 კვადრ. საჟ.

მაღლაფერიძისა, თომა მამუკას ძის, და კვესელავასი, ყარამან მიხეილის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სარ-თულიანი ხის სახლი და მიწა, 215 კვადრ. საჟ.

ცქიტიშვილისა, ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა, 118 კვადრ. საჟ.

შაშიაშვილთა, შალომა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვი-